დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს

1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.
2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N12 დადგენილება.
3. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.